№ 29 7 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1879 7 თებერვალი, ოთხშაბათი № 29

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

უოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცეროთი—5 კაპ., პეტიტით—1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ Въ редакцію газеты „Дроэба“.*

### გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

პირველი თებერვლიდამ წლის დამლევამდინ 7 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრამმები

პეტერბურღის ბირჟა, 5 თებერვალს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. | |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96— | „ |
| მეორე— — — — — — | 95— | „ |
| მესამესი — — — — | 94— | 25 |
| მეოთხესი — — — — | 95— | „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92— | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92— | 25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8— | 56 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 233— | 50 |
| მეორე სესხის — — — | 223— | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23— „ | პენსი |
| ამსტერდამი— — | 116—25 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 195—25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 242—25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | „— „ | — |

## საქართველო

### ღლიური

*** გუშინდელს სხდომაზე ქალაქის რჩევისა, წინანდელი სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, უფ. სეკრეტარმა წაიკითხა წიგნი ანტ. სოლ. ურდანოვისა, რომელიც მადლობას უძღვნიდა რჩევას ქალაქის თავად ამორჩევისათვის და ამასთან აცხადებდა, რომ ავათმყოფობა (?) ნებას არ მაძლევსო, რომ ეს თანამდებობა ვიკისროვო.

ამნაირად ჩვენ კიდევ უ-თავოდ დავრჩით...

ახალი თავის ამორჩევა დანიშნულია მომავალ კვირას, 11 თებერვალს.

ამავე სხდომაზე რჩევამ გადაწყვიტა ექვსის წევრისაგან დანიშნოს კომისია, რომელმაც ქალაქის გასუფთავებასა და გაჯანმთელებას უნდა მიაქციოს ყურადღება და ყოველი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ჟამი არ გვეწვიოს და არ გავრცელდეს ჩვენს ქალაქში. ამ კომისიის წევრებად ამორჩეულნი არიან: ორი დოქტორი: როტინიანცი და მართანოვი და ოთხი ხმოვანი: აქიმოვი. წურინოვი, დობრჟანსკი და აბგ. იონესიანი.

ამას გარდა ამ სხდომაზე წაიკითხეს წიგნი უფ. კ. ქ. მამაცაშვილისა, რომელიც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, უარს ჰყოფდა ხმოვანობაზე; მაგრამ კრებამ მიიღო მხედველობაში უფ. კ. ქ. მამაცაშვილის ერთგული და პატიოსანი სამსახური ქალაქის სარგებლობისათვის და გადაწყვიტა სთხოვოს იმას კიდევ დარჩეს ხმოვანად.

*** გუშინ, 6 თებერვალს, აკურთხეს ჩვენს ქალაქში „თფილისის თავად-აზნაურობის შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ შკოლა.

დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო ამ კურთხევაზე; მომეტებული ნაწილი დამსწრე საზოგადოებისა იყვნენ წარჩინებული ქართველები, რომელთაც დიდი კმაყოფილება და სიამოვნება ეტყობოდათ ამ ქართული შკოლის გახსნის გამო.

და მართლაც სასიამოვნო იყო ამ შკოლის ნახვა: ჯერ-ჯერობით ყოველფერი მოწყობილი არ არის, მაგრამ რაც

## მწერლობა

ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, გამოცემული ბრ. ჩარკვიანისაგან. თფილისი 1879.

(დასასრული)

„ალმანახის“ ლიტერატურილი ნაწილი იწყება პუშკინის „დონ-ჟუანით“, თავ. მიხ. ბირთ. თუმანიშვილის ნათარგმნი.

თარგმანი ერთობ სწორეა, მაგრამ ენა და ალნაქსი მძიმეა. იქნება ეს იმიტომ წარმოსდგება, რომ მთარგმნელს უნდოდა გადმოელო პუშკინის კილო, რომელიც ამ სცენაში უფრო დამჯდარია ვინემც სხვა პოემებში. ამ თარგმანს შევრათა სჯობია სამი ლექსი თავ. მიხ. თუმანიშვილისა, რომელნიც თავისის მშვენიერებით მოგვაგონებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებსა. შესანიშნავია კიდევ ერთი ლექსი „მოხუცი მატანტალა“ ბერანჟესი, თარგმნილი თავ. რაფ. ერისთავისა; ჩვენს მწერლობაში იშვიათია ასე სწორეთ უცხო ენიდამ გადმოღება აზრისა და კილოსი.

ახალ „ალმანახის“ თვალი ოფენბახის ოპერა-ბუფია, სახელათ „მშვენიერი ელენე.“ ეს პიესა პირველათ პარიჟში გამოჩნდა ამ ათიოდე წლის წინათ და იმავ წამსვე ყველა ევროპიულ ენაზე გადათარგმნეს და ყველა დიდ ქალაქებში წარმოადგინეს. ამ პიესამ ერთი რამ რევოლუცია მოახდინა ევროპის საზოგადოებაში და ერთი პატარა კომედიის შესახებ იმდონი დაიწერა, რომ მთელი ბიბლიოთეკა შესდგება. ბევრნი ჰკიცხავდნენ და აძაგებდნენ როგორც უზნეოს და უნამუსოს, მაგრამ მაინც მირბოდნენ „მშვენიერი ელენეს“ წარმოდგენის საყურებლათ. ამ პიესისთანა არა ქვეყანაში და არას დროს არ გაგონილა და არა ნახულარა. ამის შემდეგ ისე გამრავლდა ამ გვარი ოპერა-ბუფი და ისე მოაწონა საზოგადოებას თავი, რომ თეატრში მუდამ და მკვიდრი ალაგი დაიჭირა; ბევრს დარბაისელს კაცს ეშინოდა კიდეცა, ხალხს ოპერა და დრამა არ მოსძულდესო.

რა იყო მიზეზი ამ ალტაცებისა? ეს ახლანდელ სუტ-კლასიკურ (მომიტევეთ ეს სიტყვა) სწავლაში უნდა ვეძებოთ. ჩვენ სიყრმითვე გვინერგავენ გულში უწინდელ ბერძნებისადმი ნამეტან თაყვანისცემას და სიყვარულს. ჩვენს თვალში უწინდელ საბერძნეთის ცხოვრება სამაგალითო და სანეტარო რამ არი, მათი რჯული ყმაწვილის უმანკო და მარტივი სარწმუნოებაა, ზნეობა— მხოლოდ ქველ-მოქმედება და სიმამაცე, მაშინდელი პოეზია და ხელოვნება— დედანია, რომელსაც შეგვიძლიან მხო-

არის, ჩინებულად, თითქმის მდიდრულად არის გამართული. სახლი სუფთაა და ადგილიც კარგათ მოთავსებული შკოლისათვის.

სწავლა, როგორც გამოცხადებული იყო, ამ თვის 12-ს დაიწყება.

სულითა და გულით ვინატრით ამ ახლად დაბადებულ პირველ ქართული შკოლის წარმატებასა და დღე-გრძელობას. ვინატრით, რომ ის გარდაქცეულიყოს გიმნაზიათ და იმაში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცობას ნამდვილი ქართველის გული შერჩენოდეს და მამულის-შვილობა არ დავიწყებოდეს...

** ერთი უბედურება მოხდა გუშინწინ მეორე საათზე ქალაქში: გამოჩენილმა და ნიჭიერმა სომხის აქტიორმა უფ. ამერიკიანმა თავი მოიკლა რევოლვერით.

უფ. ამერიკანი დიდი ხანია ავათ იყო ჭლექით; ამ უკანასკნელ დროს ერთობ წვალობდა თურმე, ერთობ იტანჯებოდა, ზედ სიღარიბეც წაემატა, ვეღარ გაუძლო ამ გვარ სიცოცხლეს და ირტყა რევოლვერი სწორეთ იმ ადგილას, გულში, ფილტვების პირ-და-პირ, რომლის ავათმყოფობა ასე სტანჯავდა იმას.

ხვალ, ხუთშაბათს, ასაფლავებენ იმას და, იმედია, ყველა, ვინც საზოგადოთ ნიჭსა და მამულის-შვილობას აფასებს, გაჰყვება იმას სასაფლაოზე უკანასკნელ პატივის ცემის ნიშნად.

** 4 თებერვალს გარდაიცვალა თფილის'ში ნატალია შიოევისა, რომელმანც თითქმის მთელი თავის დიდი ქონება (სახლები და ფული) დასტოვა ანდერძით თფილისის სომხების (ხელოსნების) შვილების გასაზრდელად.

---

## წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო! თქვენი პატივ-ცემულის გაზეთის „დროების“ მე-12 ნომრის დღიურში ყვედრებასავით არის მოხსენებული, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა უმაღლესს სა'წავლებელში მყოფი ჩვენი ყმაწვილ-კაცები სრულიათ არაფერს იწერებიან საზოგადოთ თავიანთ მდგომარეობაზედა და მხოლოთ კერძო პირებისაგან შემთხვევით ვტყობილობთ მათ ამბავსო და სხ.

პირველათ დიდს მადლობას გწირავთ საზოგადოთ ხარკოვის ქართველი სტუდენტები თქვენი „დროების“ ნომრების უფულოთ გამოგზავნისათვის და ყურადღებისათვის; მერე კი ნება მიბოძეთ ჩემათ, კერძოთ, აი რა მოგახსენოთ თქვენს ზემო-მოყვანილს შენიშვნაზედ.

ნურასოდეს ნუ იფიქრებთ, რომ ქართველმა სტუდენტმა თავის სამშობლო ქვეყანა და საზოგადოება დაივიწყოს. სად შეუძლია იმას იქნეს კეთილი წევრი საზოგადოებისა და შეასრულოს თავისი პატიოსანი, წმიდა, კაცობრივი მოვალეობა, თუ არა თავის სამშობლოში, ქართველს საზოგადოებაში?! ქართველ მოსწავლე ყმაწვილ კაცებს არასოდეს არ მოუვათ ფიქრში (უწინ მოკვდეს მისთანა ყმაწვილი) თავის საზოგადოებასთან კავშირის გაწყვეტა; მაგრამ, საუბედუროთ, ქართველს საზოგადოებას კი აქვს კავშირი გაწყვეტილი თავის ახალ-გაზდობასთან, სამშობლოს იმედთან და მომავალთან; ქართველი საზოგადოება თავის მოსწავლე ახალ-თაობას არ რაცხს თავის საზოგადო შვილებათ და არ სთვლის თავს მოვალეთ მათზედ საზოგადო ზრუნვისა.

საქმე იმაში მდგომარეობს, უ. რედაქტორო, რომ იქნება თქვენ და ოცი თქვენისთანა აქცევდეთ ღირსს ყურადღებას მოსწავლე ახალ-გაზდობას, თორემ ოცი-ათასს და ორმოც-ათასს ის სრულებით არ ედრიდება და სულ სხვა შეხედულებისაც არიან განათლებაზედ: გიმნაზია გაუთავებიათ, სამსახურში შევიდენო, მუყაითობა გამოიჩინონ, წინ წაიწევიან და კაცები შეიქნებიანო,—აი რას ამბობს საზოგადოება, მისი პირების უმრავლესობა, თითქო უმაღლესი კაცის მიზანი კანცელარიის სკამზედ დასოკოვება იყოს.

იწერებით: როცა საზოგადოება ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზდების საჭიროებას გაიგებსო, რამე გზით დაეხმარებაო..... როდის გადაკეთდა ასთე ჩვენი საზოგადოება? სამი-ოთხი თვის წინეთ მანდ ვიყავი და ამისთანეები ერაფერი ყოფილა! თუ ახალი წლის დადგომით ჩვენი საზოგადოება სულ სხვა ახალი აზრით და ძალით შეიმოსა, დაუტევა ძველს წელს თავისი ნაკლულევანება? არ ვფიქრობ...

საზოგადოებამ ძრიელ კარგათ იცის, რომ მოსწავლე ყმაწვილ კაცებში ბევრი ღარიბია და შემწეობა ეჭირვება, მაგრამ ყურს ავლებს, ვითომ არ იცის. საზოგადოება თავის თავს მოვალეთ უნდა რაცხდეს ღარიბი მოსწავლეების შეწევნაში თორემ გლახასავით წანაგდები და დანამადლი არც სტუდენტს უნდა, თუნდ შიმშილით კვდებოდეს.

მოსწავლე ახალ-გაზდობას თანაგრძნობელათ ყავს მხოლოთ თავისი გონება, გამხნევებულათ—თავისივე გული და გაბედულება. შესჩივლებ ვინმეს, ღარიბობა სწავლაში ხელს მიშლისო, გიპასუხებენ—ცოტა იშარლატნეო; შესჩივლებ, რომ ჩვენი გონების გახსნისათვის და სულიერი განათლებისათვის მეტი თავისუფლება გვინდა და გვეჭირვება-თქო,—თქვენ ბატონობას თხოულობთო! რა უნდა შესჩივლო ამისთანა საზოგადოებას?! მოშჩივანი მისთანა მსაჯულს მიმარ-

---

ლოდ მივბაძოთ, ფილოსოფია თითქმის ისევ იმ მდგომარეობაშია, რაც პლატონის და არისტოტელის დროს იყო. ეს არის ჩვენი სწავლის საძირკველი, ჩვენი კლასიკური „მრწამსი“; ვისაც ეს არა სწამს, ის განდგომილია! დიდი ხანია ამ „მრწამსის“ წინააღმდეგ იბრძვის ჩვენი გონება და სცდილობს გააუქმოს იგი. რაც მოსაზრებით და ლოღიკით დარღვეულია, ის დაცინვას ვერ წაუვა.

პატარა კომედიამ კლასიკური „მრწამსი“ მასხარათ აიგდო,—უწინდელი ბერძნების ყოფა-ცხოვრებას ახლანდელი თვალით შეხედა, გვიჩვენა, რომ მაშინაც იყო სისულელე, გარყვნილობა და ურწმუნოება. და ჩვენცა გვჯერა, რადგანაც ვგრძნობთ და ვიცით, რომ კაცში მხოლოდ დიდება და სათნოება არ ისადგურებს,—ზოგიერთი რამ მდაბიო და სასაცილოც შემოერევა ხოლმე. ვიცით, რომ ჟამთა ვითარებამ არ შესცვალა ადამიანის ბუნება და თვით გმირი იძულებულია გადუხადოს ბუნებას თავისი ხვედრი შეცდომისა და სულელობისა...

„კრიჭ და ხრიშ“ (დალაქის თავგადასავალი) აკაკი წერეთელის პატარა მოთხრობაა. ეს ნიჭიერი კალმის ერთი გასმაა, პოეტური ცუღლუტობა. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ ნაწერში გამოჩნდა მწერალის ხელოვნობა, როგორც ბრ. ოლბელიანის ზოგიერთს მუხამბაზში („ლოპიანა“, „მკერვალი ბეჟანა“ და სხვა). კაცი სხვის გულში უნდა ჩასძვრეს, გამოჩხრიკოს მისი ფიქრი და გრძნობა, შეითვისოს მისი ენა და კილო... ერთის სიტყვით, თავის თავი უნდა დაივიწყოს, სულ სხვა კაცად გადაიქცეს და იმის მაგიერ ისე გვიამბობდეს, ვითომც ის სხვა კაცი გვიამბობს თავის ამბავს და არა მწერალი. ეს თვალთ-მაქცობა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც ადამიანის გული ზედმიწევნით იცის.

ა.

---

## არტაანიდამ ართვინამდი

მგზავრის შენიშვნები

(დასასრული)

აგერ გამოჩნდა ჭოროხიც, რომელიც წყნარად მიმავლობს ჩრდილოეთისკენ. არა შორს დოლის-ხანიდამ 5 ვერსზე ყოფილა ერთი სიმაგრეც, საცა ყოფილან თათრები და თავის დაბ'ათარი სიმაგრე გაუკეთებიათ. ამ ადგილას ხ ა რ ხ ა ნ-თ ა ფ ა ჰქვიან ეს კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ ამ არე-მარეს ავაზაკები ბუდობენ; მგზავრს სიფთხილე მოუნდება. ხარხან-თაფის ცოტა ქვეით შავშეთის და არდანუჯის წყლები ერთდებიან ჭოროხთან.

ახლა მივყევით ჭოროხს და მის ხეობას.

არ ისმის არც ფრინველთ ჭიკჭიკი და არც გლეხის სიმღერა. ეტყობა ამ ფრთოსანებსაც მოსწყენიათ აქიურობა და შემოდგომის მწუხარე სახე, გაფრენილან თბილ ქვეყნებში.

მზე გადავიდა მთებისკენ. მზის სხივების შუქზე მთების ცისფერი ნაკვეთები თოვლის ჩადრით საამოთ იხატებოდნენ.

მივედით თ ო ლ გ ო მ შ ი. ჩვენი ჯარი კარგა ხანი იდგა აქა. თოლგომი ორ ნაწილად იყოფა-ზედა და ქვენა თოლგომად. ქვენა-თოლგომი ძევს ჭო-

თავს, რომლისგანაც დაკმაყოფილებას გამოელის.

იწერებით: თეატრითო, ხელის მოწერითო და სხვა რამეებით შეგეწევითო....

კარგია, ღმერთი გაცოცხლებსთ! ვიცით ეს თეატრები და ხელის-მოწერაები.... შეტყობილი გვაქვს, რომ ერთმა ქართული სცენის მოყვარე წრემ დააწესა, ჩვენ ღარიბების შესაწევნი ფული არ გვექნებაო,—სცენას გავაუმჯობესებთო(?). კი, ხანდისხან ხელის-მოწერით შეიკრიბება ხოლმე 20-40 მანეთი, მაგრამ ვაი ამისთანა შეკრებას,—გლახასავით უნდა ეღიტინო ყველას: მომაწერე ხუთი შაური, აბაზი მაინც!... იქნება უარი არ გითხრან, მაგრამ გულში კი შეგიკურთხებენ, ამისთანა საშუალებებით ღარიბი მოსწავლების ხელის გამართვა კბილის ნაკირტნით მშიერი კუჭის გაძღომა იქნება.

საზოგადოება უნდა გრძნობდეს, რომ მისი კეთილ-წარმატება ახალ თაობის კარგ აღზრდაზედ არის დამოკიდებული; არ უნდა ზოგავდეს ამისთვის უკანასკნელ კაპეიკს; უნდა იყოს დარწმუნებული რომ საზოგადო კეთილ-წარმატება არის წყარო კერძო ბედნიერებისა.

მარტო მამა კი არ უნდა სცდილობდეს შვილის გამოსვლას, საზოგადოებაც უნდა ხელს უწყობდეს. ვიმეორებ საზოგადოებამ რადიკალური საშუალება უნდა მიიღოს მოსწავლეების შეწევნაში დააწესოს სტიპენდიები მისთანა მაღალ სამეურნეო და სხვა სპეციალურს სასწავლებლებში საიდანაც გამოსული სპეციალისტები მოუტანებენ სამშობლო უქველს და დიდს შემწეობას; დაავალიანოს საზოგადოებამ ახალ-გაზდობა, რომ ისინი ვალდებული იყვნენ ემსახურონ სამშობლოს არა მარტო თავისსაკუთარი სინიდისით და პატრიოტული გრძნობით.

მოსწავლე ქართველი სტუდენტი თავის სამშობლოსთან და საზოგადოებასთან არის შეკავშირებული მხოლოთ ერთი სიყვარულით. კი, ეს კავშირი, რა საკვირველია, ძრიელ დიდია, მაგრამ რას ემზგავსება ან რა საჭირო არის სტუდენტმა სწეროს სამშობლო საზოგადოებას: მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!...... სხვა ანგარიში მოსწავლე ქართველ ახალთაობას თავის სამშობლოსთან არავითარი არა აქვს, მისგან შეწევნას და თანაგრძნობას არ ელის, სწავლობს თავის ნებით ალალა—ბედზედ.

მაშ რაღა ანგარიში მისცეს თავის საზოგადოებას: მე ამ სასწავლებელში ვარ, ამას ვადგივარ, ეს მიჭირს და სხ. რასაკვირველია, გაჭირებულს სტუდენტს ერთი გზა აქვს მხოლოთ-მიმართოს მხოლოდ კერძო პირს, რომელსაც იცნობს და იცის არ დაამადლებს.

ანკი რაზედ გავამტყუნო განათლება-მიუღებელი ჩვენი საზოგადოების უმეტესობა, როცა ბევრი მისთანა პირებთაგანიც, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ, არ ინაღვლიან რომელიმე ვეჩერის ან სხვა რამე შექცევის დროს უქმათ გაჩერებულს იზვოშჩიკს 3—5 მანეთი მისცენ, არ ინაღვლიან ოყა-ოყობით უყიდონ დამებს პიროჟნ-კანფეტკები უბრალოთ დახარჯონ ასობით და ათასობით, და სტუდენტის შესაწევნათ კი ენანებათ წელიწადში 1—2 მანეთი—ჩვენც ღარიბები ვართო?

ბევრს ვხედავთ ჩვენს გამოზდილს, ვითომ განათლებულს და სწავლა-დასრულებულს ახალგაზდობაში უკვე გამდიდრებულს პირებს, რომელთაც სრულებით აღარ აგონდებათ თავისი სტუდენტობის დრო, და მათი ზრუნვა მოსწავლე ახალგაზდობაზე მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ სცენის მოყვარეებს ურჩევენ, ღარიბი მოსწავლეების სასარგებლოთ სპექტაკლები მიეცითო, და თვითონ თეატრის ბილეთის ყიდვის თავზედ აცილებასაც კი სცდილობენ. ეა სწორეთ იმას გავს, ნათქვამი რომ არის: ყვავს ბარხალა მოუკვდა და [illegible]—[illegible], შენ იტირე, დიდი თავი გაქვსო!

ამ საგანზედ მოკლეთ ლაპარაკი არ კმარა და არც ბევრის თქმისაგან გამოვა რამე; კედელს რამოდენს შეაყრი ცერცვს, სულ ძირს ჩამოცვინდება. ქართველი საზოგადოება დაუკვირდეს თავის საქმეს და თავ-მოჭრილი ქათამივით ნუ იფურფუტებს,—ნურც ძრიელ აყვედრებს თავის ახალგაზდობას. თითქმის ყველა პირველი კლასის ყმაწვილმა იცის კრილოვისაგან მოყვანილი მაგალითი, რომელიც ამ საგანსაც რამოდენიმეთ მიემგზავსება:

გუგული კრუხს ეხარბებოდა და ბედს შენატროდა, შვილები გარს ახვევიაო, ნეტარობსო, საითაც დედა დაუქოხქოხებს, იქით მიცქრიალდებიან წიწილებიო; იქვე მჯდომმა გვრიტმა უპასუხა: შენ შენს შვილებზედ არც ზრუნვა მიგილია (ვინ არ იცის, გუგული სხვა ჩიტებს აზდევინებს ბარხლებს) და არც ყვედრების ნება გაქვსო...

ქართველი სტუდენტი

ხარკოვი, 26 იანვარს.

---

# განცხადება

ერთ პირს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა **პეტერბურღის პედაგოგიურ კურსებში** (თეორეტიული და პრაქტიკული), ჰსურს აძლიოს **გაკვეთილები** (უროკები) **გიმნაზიის კურსის ყველა საგნებიდამ და ახალი ენებისა.** შინაურ მასწავლებელის ეგზემენიისათვის ამზადებს.

ვისაც ამ პირის ადრესის შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს უფ. **ვ. შავერდოვის სააგენტოშიგოლოვინის** პროსპექტზე, **მირიმანოვის სახლებში, „სულთანის“** თამბაქოს მაღაზიაში. (3—2)

---

როხის პირზე და მდიდარია ბაღებით და ბოსტნებით; ზედა-თოლგომი აშენებულია შარა გზის ზევით ფერდობზე; ეს მდიდარია ჰავით!. უ. კამაროვი თავის ჯარით აქ იდგა.

თოლგომიდამ ართვინამდი დაგვრჩა რვა ვერსი სასიარულო, მაგრამ კარგ თექვსმეტ ვერსათ ღირდა. ცხენები გამოვიცვალეთ და ნახევარი საათის განმავლობაში მივედით ბ ო დ ო რ ა ს ხ ე ვ ი ს დაღმართში; აქედგან გამოჩნდა ართვინი.

შორიდამ ზრთვანი ლამაზი ქალაქი სჩანს ბაღჩებით მორთული, ზეთის-ხილის ხეები უფრო ამშვენებენ ქალაქს. აღმართი გათავდა პატარა მდინარით, რომელს ბოდორას-ხევის წყალს უძახიან; წყალზე პატარა ხიდია გადებული.

საღამოს ლოცვის ჟამი იყო. თათარი ასულიყო ერთ დიდ კლდეზე თეთრის ჩალმით და ალახისადმი ლოცვასა სწირავდა. იმისი დაბარგული ვირი უცდიდა თავის პატრონს, გაათავოს ლოცვა და უთავაზოს ჯოხები, რომ მაშინ წავიდეს.

უკანასკნელი სოფელი, რომელიც გავიარეთ იყო, ლ ო მ ა შ ე ნ ი. ლომაშენი დიდი სოფელია, ართვინიდამ ორ ვერსზე. თითქმის სახლები არ ეტყობა ზეთის ხილის ბაღებში. აქვს ლამაზი მდებარეობა. ერთი მხრით გადმოყურებს ჭოროხს მეორე მხარეს მაღალი კლდეებია. ლომაშენის ზევით (ერთს ვერსზე) დგას ძველი ეკლესია.

აქნობამდე შორით უყურებდით ჭოროხს, აგერ ახლა მივედით ახლო. აქა-იქა პატარა კუნძულები, თხელი ადგილები, სადაც სჩანს წითელი ქვიშა, უშველებელი ლოდები. ერთ ალაგას ჭოროხს ისე შეუვიწროებია გზა კლდესთან, რომ თუ მგზავრი არ ჩამოხტა, ვერ გაივლის, ამ ადგილის პირდაპირ ართვინი იწყობა თეიფურ-ბეგ ათაბეგოვის სახლებით. თეიფურ-ბეგი ახლა დანიშნულია არდანუჯის მაზრის უფროსად. ხიმშიაშვილის ნათესავია. იცის სუფთა ქართული ლაპარაკი; იმის სიტყვით დედა მასწერა-კითხვაც სცოდნია. ამ კაცის აქ განწესებას თავის საფუძვლიანი აზრი აქვს. მაგრამ სომხებს არ ეჭაშნიკათ ესა..

ერთი სამხატვრო ადგილიც ართვინის ხიდის თავია: ერთს მხარეს მაღალი მთა, ძირს ზეთის-ხილის ბაღებით, მეორე მხარეს ფრიალ კლდეზე ძველი ციხე, ორი კლდის ვიწროში დგას პატარა დაბასავით ადგილი ლამაზი დუქნებით. ზედ ჭოროხზე ცისარტყლის მგზავსი ხიდი. ჭოროხი ხიდთან ნელი და ღრმაა. ხიდის ქვეით დგანან ათას ფერი მრავალი ყაიღები (ნავები) და აჭარლები მარდათ ზოგი ყაიღებში ზიდავს, ზოგი ყაიღებიდამ სცლის საქონელს. ამ ადგილას ართვინელი სომხები „ხიდი გლუხს“ უძახიან.

დაგვრჩა ერთი და უკანასკნელი აღმართი. ვინც გაივლის, საუკუნოთ არ დაავიწყდება ეს აღმართი. ისიც ავიარეთ და დავიკარგენით ართვინის ვიწრო ქუჩებში.. კიდევაც დაღამდა. ღამე მშვიდობისა!...

ს. ბავრელი.

არდანუჯი, 15 დეკემბერი.

## რუსის ჩაის ვაჭროგბისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ფუ-ჩუანის ჩაი** 10,000 გირ-ვანქა.

ფასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კაპეიკიდამ 8 მანეთამდინ. მე მივიღე ჩემი მუშტრებისაგან ფუჩუანის ჩაისთვის ბევრი მადლობა წერილით. იმედი მაქვ, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარ-დათაც. მაღაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფოჩტითა.

**ადრესსი მაღაზიისა:** მიხაილოვის ხიდი, მირზოევის სახლი, „კავკაზის“ რედაქციის ქვემოთ.

ვაჭარი **ა. პოლოსუხინი.**

(5—3)



## პარასკევს, 9 თებერვალს

ნემეცების კლუბის ზალაში

ქართულის სცენის სასარგებლოდ წარ-მოადგება:

## „ქალად ექიმი“

კომედია ორს მოქმედებად თ. გ. ერისთავისა.

და

## „იჭვიანი“

ვოდევილი ერთ მოქმედებათ გადაკე-თებული რუსულიდგან თ. რ. ერისთა-ვისმიერ.

**ანტრაქტებში** დაუკრავს **ჩეხის მუ-ზიკა** და წარმოდგენის შემდეგ ღამის 2 საათამდის იქნება ტანცაობა.

**ბილეთები ისყიდება** კასსირთან, რო-ინოვის ფოტოგრაფიაში, სასახლის ქუჩაზედ და წარმოდგენის დღეს საღა-მოს 6 საათიდგან თვით ნემეცების კლუბში.

(2—1)


## 1878 წლის ანგარიში
### რუსის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა [illegible]

გაშინჯული, შემოწმობილი რჩევისაგან, და დამტკიცებული საზოგადო [illegible]

1-ს იანვარს 1878 წელსა.

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული „ „ | 833 | 65 | გასესხებული „ „ | 1882 | 94 |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული — — — — — | 20 | „ | კასაშიდ არის „ „ | 45 | 64 |
| სესხი ა „ „ „ „ „ | | „ | | | |
| სესხი ბ „ „ „ „ „ | 1060 | „ | | | |
| სათადარიკო თანხა „ „ | 1 | 52 | | | |
| მოგება 1877 წლისა „ „ | 13 | 41 | | | |
| სულ | 1928 | 58 | სულ | 1928 | 58 |

1878 წელში

| შემოსავალი | მან. | კაპ. | გასავალი | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული „ „ „ | 934 | 20 | წილის ფული „ „ „ „ | 1 | „ |
| სასარგებლო წინათ გასესხებული ანუ ვადის დაცდაში „ „ | 465 | $48^1/_2$ | გასესხებული „ „ „ „ | 7428 | 24 |
| დაბრუნებული ნასესხი ახალი ვადით, ანუ ვიდრე ვადის (დაცდაში) მიცემით — — — — | 5313 | 74 | სარგებელი ვადაზედ წინათ შემოტანილი სესხისა- — — | 20 | 91 |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული — — — — | 1418 | 10 | მადახდა ნასესხისა „ „ | 493 | 10 |
| ნასესხი შემდეგი „ „ | 2128 | „ | სარგებელი ნასესხისა „ „ | 3 | 65 |
| სათადარიკო თანხა „ „ | 13 | $41^1/_4$ | სასარგებლოთ შემოტანილი ფული — — — | 1988 | „ |
| სხვა და სხვა „ „ „ | 25 | 10 | სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილ ფული. — — — — | 82 | 83 |
| ჯარიმა „ „ „ | 6 | $26^1/_4$ | სამართველოს ხარჯი „ „ | 199 | 80 |
| | | | სხვა და სხვა ხარჯი „ „ | 82 | 7 |
| | | | ალებ-მიცემისა „ „ | 13 | 41 |
| სულ | 10304 | 30 | სულ | 10318 | 01 |

1-ს იანვარს 1879 წელსა

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული „ „ „ „ | 1766 | 85 | გასესხებული „ „ „ | 3997 | 44 |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული — — — | 945 | „ | ნაღდი კასაშიდ „ „ | 46 | 93 |
| ნასესხი „ „ „ „ | 1200 | „ | | | |
| სათადარიკო თანხა „ | 14 | $93^1/_4$ | | | |
| წმინდა მოგება 1878 წლისა „ | 107 | $58^3/_4$ | | | |
| სულ | 4,034 | 37 | სულ- | 4,034 | 37. |

თავს მჯდომი თ. ნ. დიასამიძე

**წევრნი რჩევისა**: მიხრგი მამაცოვი. აზნ. ივანე კლიმოვი. მოგია კავლეიშვილი. დავით მამესწარაშვილი. მლახა მექანოვი

**წევრნი მართველნი**: აზნ. მიხ. კლიმოვი. ს. მღებრიშვილი. ტეტო მუზიაშვილი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მან | კაპ. |
|---|---|---|
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გა-რეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალ-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-სიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დახ ჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

### მაზანდა

| თფილისი, 1 თებერვ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფუთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| მაკენტელი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, მროც. ფუთი . | 7 | 60 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 70 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

### თფილისის სამკურნალო·

ერევნის მოედანზე, წ. ნამძლვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და მარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Февраля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.